ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

ოქტომბერი 2023

საქართველო

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 2023 წლის III კვარტალში

PMG Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

ოქტომბერი 2023

- **2023 წლის III კვარტალში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 2.3 მლნ ვიზიტს მიაღწია,** რაც 2019 წლის III კვარტლის მაჩვენებლის მხოლოდ 83%-ს შეადგენს.
- **ქვეყნების მიხედვით** 2023 წლის III კვარტალში საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტორი **რუსეთიდან** (571,421 ვიზიტი) და **თურქეთიდან** (498,892 ვიზიტი) შემოვიდა.
- მომდევნო პერიოდებში, გეოპოლიტიკური ფაქტორების გამო მოსალოდნელია ვიზიტების შემცირება **ისრაელიდან**. თუმცა, **ჩინეთთან** უვიზო რეჟიმის ამოქმედების შედეგად, მოსალოდნელია ჩინეთიდან ვიზიტების რაოდენობის ზრდა. გარდა ამისა, არსებობს **ინდოეთიდან** ვიზიტების ზრდის პერსპექტივაც, მიუხედავად ვიზიტორებისთვის საზღვრის კვეთის სირთულეებისა.
- **2023 წლის III კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობის შემოსავალმა 1.4 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია**, რაც 28%-ით აღემატება პანდემიამდელ რიცხვს, თუმცა ეს მაჩვენებელი 2022 წლის III კვარტალთან შედარებით მხოლოდ 5%-ითაა გაზრდილი.
- **ეროვნების მიხედვით,** 2023 წლის III კვარტალში ყველაზე მეტი იყო **რუსი** მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი - 285.3 მლნ აშშ დოლარი. ეს რიცხვი 38%-ით მეტია 2019 წლის შესაბამის მაჩვენებელზე, მაგრამ 17%-ით ნაკლებია 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, რაც რუსი ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლების კლების ტენდენციაზე მიუთითებს.

- 2023 წლის ოქტომბერში საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი)** 2022 წლის ოქტომბერთან შედარებით 11.1%-ით შემცირდა. აღსანიშნავია, რომ წლიური ფასები განსაკუთ-რებით შემცირდა საოჯახო სასტუმროების კატეგორიისთვის (-18.7%). ამავდროულად, 2023 წლის სექტემბერთან შედარებით, სფი 11.3%-ით შემცირდა.

საერთაშორისო ვიზიტები 2023 წლის III კვარტალში

- **2023 წლის III კვარტალში საქართველოში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 2.3 მილიონს მიაღწია**, რაც მნიშვნელოვნად აღემატება (21%) 2022 წლის III კვარტლის მაჩვენებელს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა 2019 წლის III კვარტლის მაჩვენებლის მხოლოდ 83%-ს შეადგენს.





წყარო: ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

- 2023 წლის III კვარტალში, **ქვეყნების მიხედვით**, საქართველოში ყველაზე მეტი ვიზიტი (571,421 ვიზიტი) **რუსეთიდან** განხორციელდა, რაც 11%-ით მეტია 2019 წლის III კვარტალთან შედარებით. რუსეთს მოსდევს **თურქეთი** (498,892 ვიზიტი), რაც პანდემიამდელ მაჩვენებელზე 22%-ით მეტია. 2023 წლის I ნახევრის მსგავსად, წამყვან 10 ტურისტულ ბაზარს შორის, ვიზიტების რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა **ბელარუსიდან** (77%-ით მეტი 2019 წლის III კვარტალთან შედარებით) და **ყაზახეთიდან** (74%-ით მეტი). ამავდროულად, ვიზიტების რაოდენობა სომხეთიდან, უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან პანდემიამდელ ნიშნულს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა.

- აღსანიშნავია, რომ 2023 წლის III კვარტალში ვიზიტები ირანიდან, ისრაელიდან და საუდის არაბეთიდან პანდემიამდელი მაჩვენებლების მსგავსი იყო. თუმცა, ისრაელში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენებისა და ფრენების შეზღუდვის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ **ისრაელიდან** ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება. მეორე მხრივ, უვიზო რეჟიმის შემოღების გამო, მოსალოდნელია, რომ **ჩინეთიდან** ვიზიტების მზარდი ტენდენცია გაგრძელდება (2023 წლის III კვარტალში ჩინეთიდან ვიზიტების რაოდენობა 19%-ით უფრო მაღალი იყო 2019 წლის III კვარტალთან შედარებით). ამასთანავე, 2023 წლის III კვარტალში ინდოეთიდან ვიზიტების 46%-იანი წლიური ზრდა დაფიქსირდა და ვიზიტებმა პანდემიამდელ მაჩვენებელს 84%-ით გადააჭარბა, მიუხედავად ვიზიტორებისთვის საზღვრის კვეთის სირთულეებისა.

საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 2023 წლის III კვარტალში

- **2023 წლის III კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობის შემოსავალმა 1.4 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია**, რაც 28%-ით აღემატება პანდემიამდელ რიცხვს, თუმცა ეს მაჩვენებელი 2022 წლის III კვარტალთან შედარებით მხოლოდ 5%-ითაა გაზრდილი.

- **ეროვნების მიხედვით**, 2023 წლის III კვარტალში ყველაზე მაღალი იყო **რუსი** მოგზაურებისგან მიღებული შემოსავალი (მთლიანი შემოსავლის 20%), 285.3 მილიონი აშშ დოლარი, რაც 38%-ით მეტია 2019 წლის III კვარტალზე, მაგრამ 17%-ით ნაკლებია 2022 წლის III კვარტლის მონაცემებზე, რაც რუსი ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავლების კლების ტენდენციაზე მიუთითებს. რუსეთს მოსდევს თურქეთი (220.5 მილიონი აშშ დოლარი), საიდანაც მიღებული შემოსავალი წლიურად 75%-ით გაზიარდა, ხოლო 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 47%-ით.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- **10 უმსხვილეს ტურისტულ ბაზარს შორის**, 2023 წლის III კვარტალში, პანდემიამდელ მაჩვენებლებთან შედარებით, შემოსავლები ყველაზე ნაკლებად გაუმჯობესდა აზერბაიჯანიდან (46%-ით ნაკლები) და უკრაინიდან (37%-ით ნაკლები). ამავდროულად, შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ირანიდან, ისრაელიდან და საუდის არაბეთიდან. აღსანიშნავია, რომ შემოსავლები წლიურად ყველაზე მეტად გაიზარდა თურქეთიდან (75%) და ევროკავშირიდან (52%), ხოლო წლიურად ყველაზე მეტად შემცირდა ბელარუსიდან (-58%), უკრაინიდან (-52%) და საუდის არაბეთიდან (-40%).

*საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, 2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, რუსეთის მოქალაქეების 42.5%, ბელარუსის მოქალაქეების 45.1% და უკრაინის მოქალაქეების 30.1% შეფასებულია 1 წელზე მეტი ვადით მყოფად, ან საქართველოში 1 წელზე მეტი ვადით დარჩენის მსურველად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით, ისინი განიხილებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათი დანახარჯები საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლის გამოთვლებში არ შედის.

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[1] 2023 წლის ოქტომბერში, 2023 წლის სექტემბერთან შედარებით, 11.3%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 13.2%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 10.9%-ით შემცირდა.
- 2023 წლის ოქტომბერში, 2022 წლის ოქტომბერთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 11.1%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 10.9%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 18.7%-ით შემცირდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი სამეგრელო-ზემო სვანეთში (-2.6%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი აჭარაში (-25.0%).
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო ქვემო ქართლში (26.0%), ყველაზე ნაკლები კი შიდა თბილისში (-18.3%)

რეგიონი	**სასტუმრო**		**3*, 4*, 5***		**საოჯახო**	
	2023 ოქტ/ 2023 სექ	**2023 ოქტ/ 2022 ოქტ**	**2023 ოქტ/ 2023 სექ**	**2023 ოქტ/ 2022 ოქტ**	**2023 ოქტ/ 2023 სექ**	**2023 ოქტ/ 2022 ოქტ**
	-3.0%	4.5%	-1.2%	8.0%	-3.8%	3.1%
იმერეთი	-5.8%	5.4%	-3.9%	12.6%	-7.3%	-0.3%
გურია	-23.0%	14.2%	-29.9%	14.2%	-15.5%	-
ქვემო ქართლი	-	26.0%	-	0.0%	-	58.7%
აჭარა	-25.0%	-8.6%	-24.3%	-6.9%	-28.0%	-14.0%
რაჭა	-6.9%	8.5%	-	-	-6.9%	8.5%
შიდა ქართლი	-3.5%	-8.9%	-19.4%	-13.7%	0.0%	-6.3%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-2.6%	3.3%	2.6%	0.8%	-5.8%	5.4%
სამცხე-ჯავახეთი	-14.1%	-5.6%	-38.7%	-11.5%	0.4%	-0.3%
მცხეთა-მთიანეთი	-4.9%	-5.9%	-8.1%	-5.7%	-0.6%	-6.2%
თბილისი	-6.5%	-18.3%	-6.4%	-17.9%	-6.7%	-28.1%
სულ ფასების % ცვლილება	**-11.3%**	**-11.1%**	**-13.2%**	**-10.9%**	**-10.9%**	**-18.7%**

1 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორიცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2023 წლის ოქტომბერში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[2] **152 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **237 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[3] საშუალო ფასმა **118 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა სექტემბერში **411 ლარი** შეადგინა. თბილისში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა **562 ლარი** შეადგინა, გურიაში - **530** ლარი, კახეთში - **517**, ხოლო აჭარაში - **319**.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2023 ოქტომბერი, ლარი)



2 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

3 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2018	2019	2020	2021	I 2022	II 2022	III 2022	IV 2022	2022	I 2023	II 2023	III 2023
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1800.0	2223.0	1204.5	1783.6	360.9*	536.2*	831.1*	646.2*	2374.5*	436.8*	638.6*	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	8679.5	9357.9	1747.1	1881.3	576.5	1049.4	2266.7	1534.3	5426.9	1208.5	1651.70	2706.9
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	4756.8	5080.5	1087.0	1577.5	456.0	749.3	2082.6	948.8	3652.9	845.3	1085.2	1725.1
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	3222.1	3268.7	541.7	1244.9	393.7	748.8	1374.7	999.5	3516.6	795.4	1009.1	1447.1
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	524.7	657.2	180.5	184.7	72.2*	103.5*	118.6*	114.3*	408.6*	105.0*	883.1*	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	106.0	119.3	-247.2	-7.4	21.0	15.5	24.0	6.6	67.1	30.2*	-1.48*	-

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არაასრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
უმცროსი მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

გუგულა ცუხიშვილი
კვლევითი ასისტენტი
g.tsukhishvili@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org